

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ანალიზის განყოფილების უფროსის პოზიციაზე.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ანალიზის განყოფილება ახორციელებს ფინანსური სტაბილურობის ანალიზს, სისტემური რისკების შეფასებას და მონიტორინგს. ანალიზის საფუძველზე განყოფილება წინადადებებს აწვდის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. განყოფილება ასევე ახორციელებს საზოგადოებაში ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ეფექტური კომუნიკაციისა და მაკროფინანსური ცოდნის ზრდის ხელშეწყობას. განყოფილების მოვალეობებში შედის ასევე აქტუალურ მაკროფინანსურ თემებზე კვლევითი ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება.

სამუშაოს სპეციფიკა მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ორგანიზაციის შიგნით და საზღვარგარეთ ტრენინგებზე მონაწილეობით, აგრეთვე გამოცდილ უცხოელ ექსპერტებთან ურთიერთობით, დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მსოფლიოში არსებულ თანამედროვე პრაქტიკას ამ სფეროში და გაიღრმავოს პროფესიონალიზმი.

მოვალეობები:

- განყოფილების თანამშრომლების ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა, მათ შორის: გუნდის მიზნების განსაზღვრა; თანამშრომლებისთვის დავალებების გადანაწილება და ნათლად ახსნა; თანამშრომლების უნარების განვითარებაზე ზრუნვა და სხვა;
- ფინანსური სტაბილურობისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ანალიზი, სისტემური რისკების შეფასებისა და მონიტორინგის ხელმძღვანელობა;
- ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ეკონომიკაზე გავლენის შეფასება და ფინანსური სტაბილურობის კომიტეტისთვის რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა;
- ფინანსური სისტემის სტრეს-ტესტირების, ადრეული გაფრთხილების ინდიკატორებისა და მოკლევადიანი პროგნოზირების მოდელების შემუშავება და დანერგვა;
- ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა და მისი მომზადების კოორდინირება. ეროვნული ბანკის სხვა რეგულარულ პუბლიკაციებში მონაწილეობა;
- ფინანსური სტაბილურობის აქტუალურ თემებზე კვლევებისა და სამეცნიერო სტატიების მომზადების ხელმძღვანელობა;
- განყოფილების საქმიანობის გაუმჯობესება და განვითარება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება.

მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- ინგლისური ენა - B2; რუსული B1.

- სამუშაო გამოცდილება: საფინანსო სფეროში მუშაობის 3 წლის გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად

კომპეტენციები:

- თანამშრომლის განვითარება, შეფასება, მოტივირება;
- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- საქმიანობის დაგეგმვის, ამოცანების ეფექტიანად დელეგირებისა და მიღწეული პროგრესის მონიტორინგის უნარი;
- გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა მიდგომების გამოყენება;
- შიდა კომუნიკაციის დაგეგმვა და წარმართვა;
- ცოდნის მართვის და გაზიარების სისტემების დანერგვა და გამოყენება;
- კონფლიქტებისა და დავების მართვა; დელეგირება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა.

საკანონმდებლო ბაზა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები;

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება გასაუბრების სახით.

თანამდებობრივი სარგო: 4996 ლარი (დარიცხული)